სპორტიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 8 აპრილი 2005 №77 (2400) ფასი 50 თეთრი



ივო შუშაკი თბილისშია



იარამ ჩაიარა

ლაუტერნი მოყვარულს ჩააბარებს



მაურინიუ ისევ სკანდალშია

სად იჯდა ჩელსის მწვრთნელი?

ეძებეთ სხვა პრეზიდენტი

ფინანსური პოლიციის მიერ დაკავებული მერაბ ჭორდანია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობიდან საპყრობილიდანვე გადადგა

მე-3 გვერდი

გარდაიცვალა გივი ნოდია



გივი ნოდია

გუშინ საქართველომ გივი ნოდია დაკარგა — კეთილი ადამიანი და წარსულში დიდებული ფეხბურთელი. იგი წავიდა მოულოდნელად, მისმა გარდაცვალებამ უამრავი ადამიანი ღატოვა დაზაფრული.

დღეს ბატონ გივი'ზე კრცლად საუბარი შეუძლებელია, რაიგან იმისთვის, რომ ადამიანი მოიგონო, ჯერ მისი გარდაცვალების ამბავს უნდა შეეგუო. ამიტომ აქ კარიერის ძირითად თარიღებზე შეკაჩერებთ თქვენს ყურადღებას, დანარჩენი კი სხვა დროისთვის იყოს.

გივი ნოდია დაიბადა 1948 წლის 2 იანვარს ქუთაისში. ფეხბურთელად ცნობილ პედაგოგთან კარლო ხურციძესთან ჩამოყალიბდა, შემდეგ კი თამაშობდა „ტორპედოში“ (1965-1966), თბილისის „დინამოსა“ (1967-1975) და მოსკოვის „ლოკომოტივში“ (1976-1978). საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ჩაატარა 314 შეხვედრა და აიტანა 93 გოლი. გახლდათ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი (21 მატჩი, 5 გოლი). მონაწილეობდა მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატში. იყო 1972 წლის ევროპის პირველობის ფინალისტი.

ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ შეუდგა სამწვრთნელო საქმიანობას. 1980-81 წლებში გახლდათ ლეგენდარული „დინამოს“ მწვრთნელთა შტაბის წევრი, 1982 წელს ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი გახდა, რის შემდეგაც რამდენჯერმე დაბრუნდა „დინამოში“, სადაც ისევ „ტორპედოს“ უბრუნდებოდა.

1988 წლიდან გივი ნოდია სათავეში ჩაუდგა რუსთავის „მეტალურგს“, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში მონათლა ბრწყინვალე სახელით — „გორდა“. „გორდას“ შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა „დინამოს“, სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივს“ (1993-1994) და თბილისის „ლოკომოტივს“, ხოლო 2001 წლიდან კვლავ და კვლავ თბილისის „დინამოს“ დაუბრუნდა.

შუშაკი თბილისშია

ხორვატის დრამატული ვიზიტი: იუბილეზე ჩამოსულ შუშაკს ჭირისუფლობა მოუწევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ ფოლადაშვილის ფოტო

თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი ივო შუშაკი გუშინ თბილისში ჩამოვიდა. ის ალექსანდრე ჩივაძის იუბილეზე გახლდათ მოწვეული, მაგრამ გივი ნოდიას გარდაცვალების გამო ზეიმი, ცხადია, არ გაიმართება.

შუშაკმა „დინამო“ 2001 წლის იანვარში ჩაიბარა და კლუბიდან კონტრაქტის ამოწურვამდე, შარშან, გაზაფხულზე გაუშვეს. ამ ხორვატმა სპეციალისტმა საქართველოს ეროვნული ნაკრებიც გაწვრთნა ორ მატჩში — წინა შესარჩევ ციკლში სწორედ მისი ხელმძღვანელობით დავამარცხეთ რუსეთი შინ (1:0), მერე კი ირლანდიასთან წავაგეთ სტუმრად (0:2).

შუშაკზე, როგორც მწვრთნელზე, ჩვენში კვლავაც კამათობენ, მაგრამ მან ძალიან დიდი სითბო მოიპოვა საქართველოში თავისი ქცევით, ადამიანობით და ჩვენში ბევრი მეგობარი გაიჩინა. გივი ნოდიაც შუშაკის მეგობარი იყო...

ხორვატი თბილისში რამდენიმე დღე დარჩება.

აკაკი დევაძე შინ არის

საქართველოს ნაკრების მეკარე აკაკი დევაძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოდან უკვე გაწერეს.

შეგახსენებთ, აკაკი საქართველო — თურქეთის 30 მარტის მატჩისას მძიმედ დაშავდა და ღვთის წყალობით სიკვდილს გადაურჩა — თურქ ბაშთურქსა და ალეკო ამისულაშვილთან სახით შეჯახებისას ყვრიმალის ძვალი და რკალი დაემსხვრა. კაკოს საძრაობიანი ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს.

დევაძეს გუშინ შინ დავუკავშირდით — „ახლა შედარებით უკეთ ვარ, მაგრამ დაახლოებით ერთი თვე ისევ ვიმკურნალებ, საკვებს ვერ ვჭამ და ისევ სასმელს ვიღებ მილით. ყვრიმალთან კი ღითონის ფირფიტა ჩამიდგეს“.

ილია ნანოგაშვილი

გადრი ჯალილაშვილის ფოტო

UEFA CUP — უეფას თასი 2004-2005
მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

ცსკა (რუსეთი) 4:0 ოსერი (საფრანგეთი)
აუსტრია (ავსტრია) 1:1 პარმა (იტალია)
ნიუკასლი (ინგლისი) 1:0 სპორტინგი (პორტუგალია)
ვილიარეალი (ესპანეთი) 1:2 ალკმაარი (ჰოლანდია)

შვეიცარია
ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები

ბო დე ფონი 4:1 ვინტერთური	ბოლვი 0:0 სიონი

იტალია
სერია C1/A
გადადებული მატჩი
მანტოვა 0:1 პრატო

ჰოლანდია
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
აიაქსი 2:0 ტილბურგი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი ფეხბურთელის **გივი ნოდიას** გარდაცვალების გამო

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

სპარტაკი — ამერი

8 აპრილს 16 საათიდან

ონლაინ რეპორტაჟი ვებ გვერდზე

www.fcameri.ge

პრეზიდენტის სკამი: ვისთვის ეშაფოტი, ვისთვის ანდამატი

მერაბ ჟორდანია საპყრობილიდან გადადგა

გუშინ, ნაშუადღევს, ვაკეში, მრგვალ ბაღთან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დააკავეს და ფინანსურ პოლიციაში დაკითხვაზე წაიყვანეს, მოგვიანებით კი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. ფინანსურმა პოლიციამ მერაბ ჟორდანიას თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტობის პერიოდი გაუხსენა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის მითვისება-გაფლანგვას ედავება...



მერაბ ჟორდანია

... „2005 წლის 14 მარტს ჩატარებული სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ „თბილისის დინამო“-ს შვეიცარიის „ფინანსბანკში“ არსებულ ანგარიშზე თანხების მოძრაობისას კლუბის ბუღალტერიაში ასახული და გატარებული არ არის: 5 მილიონამდე გერმანული მარკა, 800 ათასზე მეტი შვეიცარიული ფრანკი და დაახლოებით 1 მილიონი დოლარი. ამას გარდა, 1998 წელს „თბილისის დინამო“-ს შვეიცარიაში არსებული საბანკო ანგარიშიდან მერაბ ჟორდანიას პირად ანგარიშზე გადარიცხულია მილიონ 300 ათასი გერმანული მარკა. სწორედ ამ თანხების მითვისება-გაფლანგვაშია მერაბ ჟორდანია ეჭვმიტანილი“ — ეს არის ნაწყვეტი ფინანსური პოლიციის გუშინდელ გავრცელებული პრეს-რელიზიდან — „არსებობდა რეალური ეჭვი, რომ მერაბ ჟორდანია ამ დღეებში შვეიცარიაში გამგზავრებას აპირებდა და შესაძლო იყო, საქართველოში აღარც დაბრუნებულიყო და მიმალულიყო. სწორედ ამის გამო ფინანსურმა პოლიციამ მიზანშეწონილად მიიჩნია მერაბ ჟორდანიას დაკავება.“

გუშინდელ, როცა მერაბ ჟორდანია დაკითხვაზე იყო, გამომძიებლები მის საცხოვრებელ ბინასა და კაბინეტს ჩხრეკდნენ. სამსახურში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ფედერაციის გენმდივანი ვალერი ჩოლარია დახვდა, ჩხრეკა კი დაახლოებით სამი საათი გაგრძელდა: „ფინანსურმა პოლიციამ წარმოადგინა ჩხრეკის ორდერი. ისინი საკმაოდ კორექტულად იქცევოდნენ. ჩხრეკის შემდეგ მათ გაურკვეველი ვადით დალუქეს მერაბ ჟორდანიას კაბინეტი, თან კომპიუტერის პროცესორი და სავიზიტო ბარათები წაიღეს“ — თქვა ვალერი ჩოლარიამ.

ახლა კი მთავარი: საფეხბურთო კულუარებში ამბობენ, რომ მერაბ ჟორდანიას დაკავების ნაღდი მოტივი ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელია.

„ფეხბურთის ფედერაციამ რომ აირიდოს ფიფა-უეფას სანქციები, კრიტიკულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს და კვლავაც გაგრძელდეს ფიფა-უეფას დახმარების პროექტების განხორციელება, ფედერაციის გენმდივანმა დაიწყოს მუშაობა ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების მოსამზადებლადო — ეს მითხრა მერაბ ჟორდანიას ადვოკატმა, რომელმაც ასევე გადმომცა, რომ ახალ არჩევნებში მერაბ ჟორდანია მონაწილეობას აღარ მიიღებს. ჟორდანიას ადვოკატისთვის უთქვამს, რომ ფედერაციას მოქმედი და აქტიური პრეზიდენტი სჭირდება“ — ვალერი ჩოლარია ჩვენთან შეხვედრამდე ადვოკატ შალვა შავგულიძესთან პირისპირ შენახვედრი არ იყო, მას ტელეფონით ესაუბრა.

მერაბ ჟორდანიას ადვოკატისთვის ნათქვამი, ფაქტობრივად, მის გადადგომას ნიშნავს. ფედერაციაში გუშინ შეკრებილნი ვარაუდობდნენ, რომ ჟორდანიას ეს ნაბიჯი იძულებით გადადგმევინეს.

...ჯერ ადვოკატს შევხვდები, მერე, თუ კანონი მომცემს უფლებას, თავად მერაბ ჟორდანიასაც ვესაუბრები და მხოლოდ ამის შემდეგ მოვიწვევთ ფედერაციის აღმასკომის სხდომას, სადაც ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელსა და არჩევნების თარიღს დავნიშნავთ. ბევრი ჩემი ... თანახმად, არჩევნები აღმასკომის სხდომიდან არაუგვიანეს ორ თვეში უნდა დაინიშნოს. ფედერაციას თუ ახალი პრეზიდენტი ეყოლება, ის ორი წლით აირჩევა, 2007 წლამდე, ანუ იქამდე, სადამდეც მერაბ ჟორდანია იყო არჩეული“ — ამბობს ვალერი ჩოლარია, ვინც, თუ არჩევნები დაინიშნა, გარკვეული მიზეზების გამო საპრეზიდენტოდ თავის კანდიდატურას არ წამოაყენებს.

და ვინ ითვლება მერაბ ჟორდანიას შესაძლო მემკვიდრედ? ფედერაციის დერეფნებში ხშირად ამბობ საპარლამენტო უმრავლესობის „ნაციონალი“ წევრის დავით კირკიტაძის გვარი ასევე ხაუბრობენ ოვვაზ არველაძისა და ვლადიმერ გაცაევის პრეზიდენტობაზეც. თუმცა კირკიტაძეზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგები, ძალი უმეტეს, რომ ის ბოლო დროს ფეხბურთის სახელოვნებ ტრიალებს.

ჩოლარიას თქმით კი, „ალბა მეგონია, ჟორდანიას დაკავების პოლიტიკური მოტივი ჰქონდეს. თუნდაც იმიტომ, რომ ფედერაციას პრეზიდენტს, წესდებით, შემოხვედეთ ხალხი არ ირჩევს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ნემბრონატის უმაღლესი ლიგის კლუბებს, რეგიონულ ფედერაციებსა და ასოციაციებს, სულ 26 მანდატი იქნება.“

როგორ გაგრძელდება მერაბ ჟორდანიას საქმის გამოძიება, როდის იქნება სასამართლო, რა ელის ფედერაციის პრეზიდენტს — ამ კითხვებზე პასუხი ძალიან ძნელია. თუმცა კი ამბობენ, მერაბ ჟორდანია, გადადგომის ოფიციალურ განცხადების გაკეთების შემდეგ, შესაძლოა, დღეიდან ... ...

რას გაიგებ, ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელი ძალიანაც ანდამატივით ყოფილა.

ძოგა ინასარიძე

ვალერი ჩოლარია

მე მოკრივე არ ვარ

აიაქსი გოგუაზე კვლავაც ფიქრობს

საბერძნეთთან და თურქეთთან მარცხით საქართველოს ერთვნულმა ნაკრებმა ფაქტობრივად მორიგი შესარჩევი ციკლი ჩააგდო, მაგრამ გუნდში გამოჩნდა ფეხბურთელი, ვინც გულშემატკივარმა ძალიან შეიყვარა — 21 წლის ნახევარმცველი გოგიტა გოგუა.
თუ როგორ გაიკვლია გოგუამ გზა ეროვნულ ნაკრებამდე, რა წინააღმდეგობებს წააწყდა და როგორ გამოაწრთო ის ცხონებულმა ჯემალ ჩიმაკაძემ, ამაზე „სარბიელში" ადრეც დაწერილა. ახლა კი გოგუას რუსეთში, ხიმკიში დავურეკეთ და იქაური ამბების გარდა სხვაც ვკითხეთ...

გაფრი კალილაძის ფოტო

— რუსეთის პირველ დივიზიონში უკვე სამი ტური მიილია და ჯერაც არ გითამაშია...

— „ხიმკიში" კარგად მოვეწყვე, კლუბის ბაზაზე ვცხოვრობ, რომელიც მოსკოვიდან 15-20 წუთის სავალზეა. „ხიმკის" ბოლო თამაშში სამატჩო განაცხადში ვიყავი, მომდევნო შეხვედრა შაბათს გვაქვს და ალბათ უკვე ვითამაშებ.

— „ხიმკისთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გაკავშირებს?

— ოთხწლიანი და ყველაფერი კარგად მიდის, კლუბში და მის გარშემო ძალიან კარგი სიტუაციაა.

— შოთა არველაძემ რეკომენდაცია გაგიწია „აიაქსში" და როგორც შევიტყვეთ, „აიაქსის" სელექციონერი რუდი კროლი კვლავაცაა შენით დაინტერესებული, თუმც სანაკრებო თამაშებზე შენ სანახავად კროლი ვერ ჩამოვიდა — თუ „აიაქსს" შენდამი ინტერესი გაულვივდა, შესაძლო ტრანსფერი ძალიან გართულდება?

— თუ „აიაქსს" ჩემი აყვანის სურვილი გაუჩნდება, ტრანსფერი არ შეფერხდება. რა თქმა უნდა, „ხიმკი" ჩემში უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე ჩემი ყოფილი გუნდი „თბილისი" მოითხოვდა, მაგრამ თუ „აიაქსს" მართლა მოვუნდები, საქმეს წინ არაფერი დაუდგება.

— ხომ არ ფიქრობ, რომ „თბილისიდან" „ხიმკიში" გადასვლა იჩქარე? „თბილისში" რომ დარჩენილიყავი, „აიაქსის" ვარიანტი ალბათ უფრო რეალური იქნებოდა...

— „ხიმკიში" გადასვლა მართლაც ვიჩქარე, მაგრამ არც ეს ვარიანტი გამოდგა ცუდი. „თბილისში" დარჩენას „ხიმკიში" თამაში ჯობია.

— თებერვალში „თბილისიდან" „დინამოში" უნდა გადასულიყავი. გაჰყევი კიდევაც „დინამოს" მარბელას ტურნირზე და ერთი მატჩიც ითამაშე. ამას წინათ კი „დინამოს" მაშინდელმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ „სარბიელს" უთხრა, გოგუა იმ შეხვედრაში რომ გააძევეს, ამით თანაგუნდელები დააღალატა, ხოლო თამაშის შემდეგ მას რჩევა-დარიგება მივეცი, ფეხბურთი ბრძოლის ველი არ არისო...

— გეგუჩაძეს თუ ვუნდოდი, იმას არ მეტყოდა, რაც მითხრა. მსურს, ყველამ გაიგოს, რომ მე მოკრივე კი არა, ფეხბურთელი ვარ, წითელი ბარათი კი, აბა, ვის არ მიულია?!

— წითელი ბარათი დანიის ახალგაზრდულ ნაკრებთანაც მიიღე და თურქეთის ეროვნულ ნაკრებთანაც — ამ შესარჩევ ციკლში უკვე ორი წითელი ბარათი დაგიგროვდა...

— ახალგაზრდულ ნაკრებში, ცოტა არ იყოს, ბავშვური დაუდევრობის გამო გამაძევეს, თურქეთთან კი ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი მონდომებით მეთამაშა. სამწუხაროდ, თურქეთთან არაფერი გამოგვივიდა, მეც რაღაცნაირად გადამეკეტა გონება, ნერვები ვერ მოვთოკე, მაგრამ გაძევების მიზეზი უფრო მაინც ზედმეტი მონდომება იყო.

— ალენ ჟირესმა რა გითხრა ნამატჩევს?

— დასანანია, რომ მომდევნო შეხვედრაში ვერ ითამაშებ, მაგრამ ამაზე დიდად ნუ იდარდებ, სხვა დროს უფრო დაკვირვებული იყავიო.

— „ხიმკის" დავუბრუნდეთ: გუნდს ალბათ ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — პრემიერლიგაში გადასვლა...

— ასეა, პრემიერლიგაში გადასვლის დიდი სურვილი გვაქვს და იმედია, ამას მივაღწევთ კიდეც. რუსეთის პირველ დივიზიონსა და პრემიერლიგას შორის დიდი განსხვავება არ არის, პირველ დივიზიონშიც კარგი საფეხბურთო ატმოსფეროა.

— მანდაურ ცხოვრებას როგორ ეგუები?

— დრო არაფრისთვის მრჩება, სულ ბაზაზე ვარ, რადგან, ფაქტობრივად, ყოველ მესამე დღეს თამაში გვაქვს. ძალიან ძნელია, ასეთი განრიგისას ფეხბურთის გარდა სხვა რამისთვისაც გამონახო დრო.

დავით თავართქილაძე



ეროვნული ნაკრების ფოტო

ალექსანდრე ჩივაძე 50

დღეს ორმოცდაათი წლისა შესრულდა თბილისის „დინამოს" დიდი კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე.

ამ დღეს ის უნდა გავიხსენოთ, რომ თუკი თბილისის „დინამოს" მსოფლიო სახელი ჰქონია, ამ სახელის ერთ-ერთი მესაძირკვლე ჩივაძეც იყო: თავიდან მეექვსე ნომრად მოთამაშე ნახევარმცველი, მერე კი უჭკვიანესი, ელეგანტური მცველი ბომბასავით დარტყმით და მეტოქის კომბინაციების წაკითხვის და ჩაშლის გასაოცარი უნარით. ყოველთვის წელგამართული, დაუღლელი, მეცდომის დროსაც კი გაუტეხელი, ის ჩვენი გუნდის ნამდვილი სიმბოლო იყო.

ჩივაძეს დიდი სახელი ჰქონდა როგორც ფეხბურთელს: ვის აღარ ადარებდნენ, საბჭოთა ნაკრების კაპიტნის სამკლავური კი მთელი სამყაროსთვის ცნობადს და შესამჩნევს ხდიდა.

ის დიდებული მცველი იყო, ულალატო გამძღოლი გახლდათ, თავის ნერვიულობას სხვას არ გადასცემდა ხოლმე, თავის შეცდომას თავისივე სისხლით გამოისყიდდა ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერი დონის თამაშში.

მაგრამ ალბათ ყველაზე მიმზიდველი და შთამბეჭდავი იყო იმის ცქერა, თუ როგორ გადასერავდა ფეხზე ბურთმინებებული ჩივაძე მთელ მოედანს და თავის ყუმბარას მოწინააღმდეგის კარში ჩააჭედებდა. ეს ძალიან ლამაზი იყო: ფეხბურთის პროფესორის წელგამართული, აჩქარებული მოძრაობა კარისკენ.

მერე, როცა თბილისის „დინამო" დავმხო და ვეღარ იყო საბჭოთა ფეხბურთის ლიდერი, როცა თბილისშიც კი აგებდა თამაშებს, ჩივაძე კვლავ საოცარი იყო. სწორედ ასეთი, მძიმე თამაშების ცქერისას ხვდებოდი, რომ გუნდი ერთ ვარსკვლავზეღა ჰკიდია. ვისაც ახსოვს უვარგისი თამაშების ჩივაძე, ის უფრო იოლად გაიხსენებს, თუ როგორი ფეხბურთელი იყო.

წასვლითაც ისე წავიდა, როგორც უნდა წასულიყო, არავის მეუხსენებია, დრო მოვიდა, თავად შეახსენა ყველას.

ცაკარიასი დონეა

რევაზ ქემოკლიძე ნაკრებისკენ გზას იმოკლებს?

მოგეხსენებათ, წლეულს „თბილისს" თითო-ოროლა გამოცდილი ფეხბურთელიღა შერჩა. გუნდს მეტწილად უწვერული ჭაბუკებით გააქვს თავი და არცთუ ცუდად — მეტი რაღა, „თბილისი" კარგა ხანს ლიდერობდა ჩემპიონატს, ახლაც სამეულში ტრიალებს და თასის ნახევარფინალშიც თამაშობს.

26 წლის რევაზ ქემოკლიძე „თბილისის" დაცვის მთავარი დასაყრდენია. საქართველოს ნაკრების ყოფილ წევრს ტრავმები სდევდა, თუმცა ახლა ჯანზეა და... ნაკრებში დაბრუნებისაც ეიმედება.

„კუნთი დროდადრო მახსენებს თავს, მაგრამ ეს არაფერია. კარგ ფორმაში ვარ და ბოლო ოთხი-ხუთი ტურია, მგონი, თამაშზეც მეტყობა. რაც მთავარია, მარტო მე კი არა, ლუის ცაკარიასიც კმაყოფილია ჩემით. ნაკრები? ჩემი მიზანი იქ დაბრუნებაა და ვნახოთ, თუ გამომიძახებენ, მაგას რა აჯობებს. პირადად მე მზად ვარ ნაკრებისთვის".

ქემოკლიძე „თბილისის" ჩემპიონობას არ გამორიცხავს — „მართალია, ზედმეტად ახალგაზრდა გუნდი გვყავს. მაგრამ შედეგები ბევრ რამეზე მეტყველებს".

„ღღეს „თბილისში" ხუთი-ექვსი ფეხბურთელი ვართ, რომლებზეც თამაშია აწყობილი. დანარჩენები გამოუცდელები არიან, უმაღლეს ლიგაში ერთი-ორჯერ თუ უთამაშიათ, მაგრამ პერსპექტივა ნაღდად აქვთ. თუნდაც 18 წლის ვიგი ფოფხაძე ავიღოთ — ბოლო მატჩებში სულ ძირითადში თამაშობს და მისით ყველანი კმაყოფილი ვართ.

...ჩემპიონატში 10 ტურია დარჩენილი და ყველაფერი წინაა. არ გადავაჭარბებ, ჩემპიონობაც შეგვიძლია და თასის აღებაც, მიუხედავად იმისა, რომ დაშლილი გუნდი გვყავს".

ლუის ცაკარიასი რომ „თბილისში" კარგად მუშაობს, ეს სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს. ქემოკლიძეც ძალიან აქებს პერუელ მწვრთნელს, საქართველოში მომუშავე სპეციალისტებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა.

„ცაკარიასთან თბილისის „ლოკომოტივშიც" ვიყავი და ძალიან შევეჩვიე, კარგად ეპყრობა ფეხბურთელებს, მიდგომაც იცის და თამაშის წაკითხვაც. ისე აგიხსნის და დაგიღეჭავს ყველაფერს, რომ უტვინო თუ არ ხარ, შესრულება არ გაგიჭირდება".

ქემოკლიძე საქართველოს ჩემპიონატსაც ნორმალურად უყურებს — შესაძლოა, დონე მოიკოჭლებს, მაგრამ საინტერესო ფეხბურთელები კი თამაშობენო. მისთვის უხერხული თავდამსხმელი კი არ დაასახელა, გამოყოფა არ მინდა, ბევრი კარგი ფორვარდია და ნებისმიერ მომენტში ნებისმიერთან შეიძლება გამიჭირდესო...

გაფრი კალილაძის ფოტო

ილია ნანოგაფვალი

ᲕᲘᲜᲐᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲔᲥᲡᲰᲘᲑᲘᲪᲘᲝᲜᲘᲡᲢᲘ?!

ᲐᲚᲔᲜᲘ ᲰᲝᲠᲢᲡᲛᲣᲗᲨᲘ ᲘᲬᲕᲘᲔᲡ

ᲔᲠᲗ ᲮᲐᲜᲡ ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ ᲐᲚᲔᲜ ᲞᲔᲠᲔᲜᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ამბავია — ლონდონურ „პორტსმუთს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. ეს არის ფრანგი ალენ პერენი, რომელიც ადრე „მარსელს“ წვრთნიდა.

სეზონის ბოლომდე კი ფრანგს „ტოტენჰემის“ ყოფილი მენეჯერი დევიდ პლიტი დაეხმარება ინგლისურ ფეხბურთში გასარკვევად.

48 წლის პერენმა და კლუბის თავმჯდომარემ მილან მანდარიჩმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს და საქმეც გაიჩარხა.

სერბი ველიმირ ზაიეცი კი, რომელიც აქამდე „პორტსმუთს“ დროებით წვრთნიდა, ისევ ძველ საქმიანობას, კლუბის სპორტული დირექტორის სავარძელს დაუბრუნდა.

ალენ პერენი არსენ ვენგერის თანაშემწე ყოფილა „ნანსიში“, მერე „ტრუაში“ უმუშავია და ეს გუნდი მეოთხედან პირველ დივიზიონში დაუძრავს. 2002-04 წლებში „მარსელს“ თავკაცობდა, მერე კი „საუთჰ ემპტონის“ მენეჯერობას სთავაზობდნენ, თუმცა საამიროების „ალ აინში“ წავიდა და იქიდან ცუდი შედეგების გამო მალევე გაუშვეს.

„პორტსმუთი“ ხომ ჩაიბარა და პარალელურად პერენი „მარსელს“ სასამართლოთი ედავება დღემდე გადაუხდელ სამ მილიონ გირვანქას, ფრანგული კლუბი კი მისი გაშვების ერთ-ერთ მიზეზად თანამშრომლებზე სექსუალურ ზეწოლას და ექსჰიბიციონიზმს (ხალხში გაშიშვლების წყურვილი) ასახელებს, რასაც მწვრთნელი, ცხადია, უარყოფს.

ეს სასამართლო წელიწადზე მეტია მიმდინარეობს, თუმცა „პორტსმუთში“ იგი ნაკლებად რომ აინტერესებდათ, გუშინაც დადასტურდა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ᲙᲐᲪᲘ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲡ

ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝᲛ ᲩᲔᲚᲡᲘᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲤᲝᲕᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „მილანის“ ლიდერმა ანდრეი შევჩენკომ „ინტერთან“ მატჩამდე ორი დღით ადრე, „ჩელსის“ ხელმძღვანელობის გასაგონად კიდევ ერთხელ განაცხადა, „სან სიროდან“ სულ ცოტა, 3-4 წელი ფეხს ნაღდად არ მოიცვლიო. თუმც უკრაინელმა ლონდონელები მალად უთმელად არ დატოვა და იქვე დაამატა, მერე რა მოხდება, არავინ იცისო რას ამბობენ უკრაინელს ეს სიტყვები? რას და, მოგეხსენებათ, „ჩელსის“ პატრონ რომან აბრამოვიჩს დიდი ხანია, შევჩენკოს ხელში ჩაგდება უნდა, მაგრამ..

„ამჟამად მე მხოლოდ „მილანზე“ ვფიქრობ და ჩემი მომავალიც სწორედ ამ კლუბს უკავშირდება. გუნდთან კონტრაქტი 2009 წლამდე მაქვს და მის ამოწურვამდე მაინც არსად გადასვლას ვაპირებ. რა მოხდება მერე, მომავალი გვიჩვენებს“ — განმარტავს შევჩენკო.

ამის მერე ჟურნალისტების [illegible] დაუკონკრეტეს შეკითხვა [illegible] „ჩელსი“ მზად არის, თქვენს სასარგებლოდ დიდძალი თანხა გადაიხადოს და პირადად აბრამოვიჩ[illegible] ტყვეთო, რაზეც უკრაინელმა [illegible] ხლოებით ო

[illegible] შინაარსის ბანერი გასცა და „მილანს“ კიდევ [illegible] ხელ შეეფეცა ერთგულება.

„ეთმეორებ, ამჟამად სხვა ვერაფერს მაისურით ვერ წარმოიდგენთ ჩემი თავი და ამის შესაძლებლობას გამოვრიცხავ. „მილანმა“ მე ყველაფერი მომცა და ერთად ვცადეთ [illegible] ერთი წარმატებას მივაღწიეთ. [illegible] შეეხება აბრამოვიჩს, მას [illegible] ვცემ და მიმწერს, [illegible] საქმის მცოდნე კაცი. [illegible] ცნობთ და რამდენჯერმე [illegible] ია კიდევ. მას ფეხბურთი [illegible] უყვარს“.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ

GRAZIE PAPA GIOVANNI PAOLO II

ᲢᲝᲢᲢᲘ ᲢᲘᲠᲘᲡ, ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐ ᲕᲐᲢᲘᲙᲐᲜᲡ ᲐᲜᲑᲠᲔᲕᲡ

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚ პაპს, იოანე პავლე მეორეს დღეს დილით სრულიად კათოლიკური სამყარო ეთხოვება.

გუშინწინ კი რომის წმინდა პეტრეს ტაძარში მყოფმა ხალხმა, სხვა სახელგანთქმულ პიროვნებებთან ერთად „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი და მწვრთნელი ბრუნო კონტი იხილა. ისევე როგორც წინადღით მყოფ „ლაციოს“ ფეხბურთელებს, „რომაელებს“ ემოციები არ დაუმალავთ — კაპიტანიცა და მწვრთნელიც თვალცრემლიანნი იდგნენ პოტიფიკის ცხედრის წინაშე...

ფრანჩესკო ტოტი რამდენიმე წუთი მუხლმოდრეკილი ლოცულობდა, შემდეგ კი იოანე პავლე მეორეზე გულმოკლულმა ეს თქვა:

„შვიდი წლის ვიყავი, როცა პაპს პირისპირ შევხდი. ეს ვატიკანში მოხდა, როცა მე და ჩემი თანასკოლელები წმინდა მამასთან სალოცავად წაგვიყვანეს. ცერემონიის დასასრულს პაპი უეცრად შემობრუნდა და რადგან მასთან ყველაზე ახლოს მე ვიდექი, შუბლზე მაკოცა. მისი მაშინდელი ამბორი დღემდეც კი მხნეობით მავსებს და მამოძრავებს. ამისთვის მთელი ცხოვრება მისი უწმინდესობის მადლიერი ვიქნები“.

რომის პაპის გარდაცვალებამ, რა თქმა უნდა, ლეგენდარული დიეგო მარადონაც დაამწუხრა, ოღონდ არგენტინელი არც ტაძარში მისულა და, რასაკვირველია, არც კათოლიკურ ეკლესიასთან შეურიგებელ ბრძოლაზე უთქვამს უარი: „იოანე პავლე მეორე, უპირველეს ყოვლისა ადამიანი იყო და რადგანაც მეც ადამიანი ვარ, მის გარდაცვალებას მეც განვიცდი. ოღონდ ეკლესიასთან კი მაინც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიბრძოლებ. ერთადერთი ღმერთის მჯერა და მასვე ვევედრები, რომ ახალმა პაპმა ღვთის შეწევნით ვატიკანს მთელი ქონება წაართვას და იმათ გადასცეს, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება — აფრიკის დამშეულ ბავშვებს და დედამიწის ყველა ღარიბ-ღატაკს“.

ᲚᲐᲓᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲫᲔ

ᲤᲠᲐᲜᲩᲔᲡᲙᲝ ᲢᲝᲢᲢᲘ: ᲞᲐ�პᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲠᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔᲪ ᲙᲘ ᲛᲮᲜᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ

ᲘᲐᲠᲐᲛ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ

ᲙᲐᲘᲖᲔᲠᲡᲚᲐᲣᲢᲔᲠᲜᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲔᲡ

ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲘᲡ დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე „კაიზერსლაუტერნის“ ავსტრიელი მწვრთნელი კურტ იარა გუნდიდან წავიდა. იარამ კლუბის უფროსებს აცნობა, რომ კონტრაქტის გახანგრძლივება აღარ სურდა, რომელიც მაისის ბოლოს იწურებოდა. კლუბმა კი გადაწყვიტა, ახლავე გაეთავისუფლებინა მწვრთნელი, რასაც ავსტრიელიც დაყაბულდა.

კურტ იარა „ჰამბურგიდან“ „ლაუტერნში“ 14 თვის წინ მივიდა და გუნდი მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან იხსნა.

მოგეხსენებათ, „კაიზერსლაუტერნმა“ სეზონი სუსტად დაიწყო, მაგრამ მეორე წრეში მოყოჩაღდა. ამჟამად მეთერთმეტე ადგილზეა და მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითება აღარ ემუქრება, თუმც გასულ ტურში, შინ „ჰანოვერთან“ მარცხის (0:2) შემდეგ კურტ იარას მასპინძელმა ფანებმა უსტვინეს.



ახლა „კაიზერსლაუტერნის“ მოყვარული გუნდის თავკაცი ჰანს კერნერ მოსერი ავსტრიელის ადგილს დროებით დაიკავებს და სეზონსაც იგი ჩაამთავრებს.

ᲗᲐᲗᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

სტამი, სტამი და სტამი

დერბი, რომელსაც ძალიან უყვარს მილანი

იაპ სტამი ახტა და... გოლ! „ინტერის“ მწვრთნელ რობერტო მანჩინის სიურპრიზი აუხდა

ირონია დიადი რამ არის, სახალისო და საგანგებო. აი, მაგალითად ირონიის ერთი ასეთი ნიმუში: მილანური გუნდების ამ ევროპული დერბის წინ, „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კარს მომდგარი შეხვედრისგან სიურპრიზს ველით.

მანჩინის ამ ნათქვამმა სახოგადოებაში გულწრფელი გაოცება გამოიწვია, რადგან, ერთ სტადიონზე მოთამაშე ორ გუნდს, რომელთაც სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე უწევთ შეხვედრა და, შეიძლება ითქვას, ერომანეთის თვალწინ სძინავთ და ღვიძავთ, ძნელი წარმოსადგენია ერომანეთისგან რამე დამალულიც ჰქონდეთ. თან, ნუ დავიწყდებათ, რომ როგორც ერთის, ასევე მეორის არცთუ ცოტა მოთამაშეს, როგორც „შავ-ლურჯი“, ასევე „შავ-წითელი“ მაისურა სცმია...

მაგრამ, როგორც გაირკვა მანჩინის წინასწარმეტყველება მართალი ყოფილა — მხარეთა შორის წინასწორობა... იაპ სტამმა დაარღვია. განა ელოდა ვინმე 32 წლის ჰოლანდიელი ცენტრალური მცველისგან, რომელიც სეზონის განმავლობაში უპირატესად სათადარიგოთა სკამზე ივდა! თამაშის ბედისთვის მიმართულების მიცემას? არადა, ისე გამოვიდა, რომ სწორედ ჰოლანდიელმა ითამაშა მთავარი როლი მოედნის როგორც ერთ, ასევე მეორე ბოლოში.

„ინტერთან“ გუშინწინდელ შეხვედრაში სტამმა მილანელთა დაცვის შუაში, ალესანდრო ნესტას გვერდით დაიკავა ადგილი, ხოლო პაოლო მალდინი მისთვის ბუნებრივ პოზიციაზე, მარცხენა ფრთაზე გადავიდა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ „ინტერმა“ ძალიან სწრაფად დაიწყო თამაში და პირველ წუთებში სწორედ სტამისა და მეკარე დიდას სიმტკიცემ შეინარჩუნა „შავ-წითელთა“ პოზიციები.

სხვათაშორის, მატჩის პირველი მონაკვეთი ძალიან წააგავდა ამავე გუნდების თებერვლის შეხვედრას, სერია A-ში. „ინტერს“ უკეთესი მომენტები ჰქონდა და განსაკუთრებით ეს იმ ეპიზოდებზე ითქმის, როდესაც სინიშა მიხაილოვიჩმა და ხუან სებასტიან ვერონმა ვარიმები დაარტყეს.

ამ პერიოდში მიმომხილველთა დიდ ნაწილს გაუჩნდა ეჭვი, რომ იმდღეანდელი მადონინა გახდებოდა სწორედ ის თამაში, რომელშიც „შავ-ლურჯები“ ნავსს გატეხდნენ და რვათამაშიანი მოუგებელი სერიის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს დაამარცხებდნენ „მილანს“, მაგრამ მიზანთან მათი ყოველი მიახლოება კლდედ აღმართული ჰოლანდიელის და მისი თანაგუნდელი მცველების ბარიერზე იმსხვრეოდა.

„მილანმა“ პირველ ნახევარში მხოლოდ ერთხელ დაარტყა თანაქალაქელების კარში — ანდრეი შევჩენკომ მძიმე ტრავმის შემდეგ მიზნის გასწორება და ბურთის ფეხზე მორგება სცადა, თუმცა გოლი, როგორც მოგახსენეთ, ფორვარდს არ გაუტანია, სტამმა შეაგდო. ეს ასე მოხდა: ანდრეა პირლომ საჯარიმოში ჩააწოდა მაღალი ბურთი, ჰოლანდიელმა კი ივან კორდობას დაასწრო და ფრანჩესკო ტოლდოსგან მარჯვნივ გაახვია კარის ბადეში.

შესვენების შემდეგ „მილანი“ ახმახი სტამის გოლის გამო უკვე სრულიად სახეცვლილი მიუდგა საქმეს, ხოლო ხულიო რიკარდო კრუზით უკმაყოფილო „ინტერის“ მწვრთნელმა თავდასხმაში კრისტიან ვიერი ჩართო, მაგრამ ამან დიდი შედეგი არ [illegible] ისევ იაპ სტამმა შეზღუდა იგიცა და მისი მარცხენა ფრთაზე გადასროლილი პარტნიორი ობაფემი მარტინიც.

საბოლოოდ კი „მილანმა“ 2:0 მიიგო. ეს ამბავი პირლოს უბადლოდ შესრულებულ იმ ჯარიმას მოჰყვა, რომელიც კინალამ ისევ სტამმა შეაგდო მოწინააღმდეგის კარში, თუმცა ამჯერად მან კი არა, ანდრეა შევჩენკომ იყოჩაღა.

„დიდებულად ჩატარებული პირველი ტაიმისა და გაწონასწორებული მეორე ნახევრის შემდეგ 0:2 წაგება დასანანია — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მანჩინიმ — თან მეტოქის იღბლად, პირველი გოლიც მათთვის ძალიან სასურველ დროს გავიდა და მათმა გოლკიპერმა დიდამაც ძშვენივრად ითამაშა, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი წახმარების გარეშე, „მილანი“ ასეთ გოლებს ვერ გაიტანდა. მოკლედ, „მილანმა“ თავისი შანსები გამოიყენა, მაგრამ ჩვენ მეტი ყურადღება გვმართებდა. მეორე თამაში, ცხადია, ძნელი იქნება, თუმცა თავად განსაჯეთ, დღეს ანგარიში ჩვენ რომ გაუკეთესა, სულ სხვა ანგარიში იქნებოდა. მოკლედ, ძალიან დამწყლა გული, რომ ჩემპიონატშიცა და ლიგაშიც, „მილანმა“ დაუმსახურებლად მოგვიგო. ახლა საგანგებო ყურადღებითა თუ შევძლებთ მდგომარეობის გამოსწორებას ცდა ხომ ბედის მონახევრეა.“

„მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „შესვენებისას ჩემებს ვუთხარი, რომ მეორე ტაიმში გაცილებით უკეთ მარიებდათ თამაში, განსაკუთრებით თავდასხმაში. ამ დონეზე გარკვეული ეჭვი ყოველთვის გიჩენრობს ადამიანს, მაგრამ საბოლოოდ, ფეხბურთელების საკუთარ ძალებში დარწმუნება შეკვეძელი და თამაშში გარდატეხაც შევიტანეთ. ეს ძალიან ძნელი საქმე იყო, მითუფრო, რომ „ინტერი“ ჩვენს ნახევარმცველებზე დიდ ხელოვნურ ანხორციელებდა, განსაკუთრებით კი ანდრეა პირლოზე“

პაპუნა კედია

AFP მილანიდან

ფრანჩესკო ტოლდო და მოზეიმე მილანელები: „ინტერის“ მორიგი გაწბილება მეკარის სახეზე ასახულა

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

ინტრიგა, ბიჭო, ინტრიგა!

თქვენ გაზანზარებთ ოლიმპიაშტადიონზე

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი". 40 253 მაყურებელი

ჩელსი 4:2 ბაიერნი

1:0 კოული (4), 1:1 შვაინსტაიგერი (52), 2:1, 3:1 ლამპარდი (60, 70), 4:1 დროგბა (81), 4:2 ბალაკი (90 პ)

ჩეხი, ჯონსონი (ჰუთი 65), რ. კარვალიუ, ტერი, გალასი, ჯ. კოული (ტიაგუ 82), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, დროგბა (ფორსელი 90), გუდიონსენი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

კანი, სანიოლი, ლუსიო, კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ფრინგსი, ზე რობერტო (შოლი 73), ბალაკი, სალიჰამიჯიჩი (შვაინსტაიგერი 46), გერერო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: დროგბა, კარვალიუ, ფრინგსი, გალასი, მაკელელე, შვაინსტაიგერი

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

დიდიე დროგბამ ოლივერ კანს აუღებელი დაურტყა

რატომ არ ივჯდა ჟოზე მაურინიუ „ჩელსის" სათადარიგოთა სკამზე, გრძელი ისტორიაა და ამის თაობაზე ცალკე მოგახსენებთ, აქ კი უშუალოდ მატჩის მსვლელობაზე ვთქვათ, თუმცაღა თავად მატჩი, ალბათ, ნანახი გაქვთ.

მაგრამ ისიცაა, რომ მაურინიუს ხსენებას მაინც ვერ ავცდებით. „სტემფორდ ბრიჯზე" გულშემატკივრებს ასეთი ტრანსპარანტი ჰქონდათ გამოფენილი: „ხელები შორს ჟოზესგან!", ხოლო ჯო კოულმა თამაშის წინ თქვა: „ჩვენს კლუბში მწვრთნელებს შორის ისე იდეალურად არის აწყობილი ურთიერთობა, რომ ეჭვიც არ მეპარება, რომელიმე თანაშემწე უპრობლემოდ შეძლებს მაურინიუს შეცვლას თამაშის დროს. უფრო მნიშვნელოვნად კი იმას ვთვლი, რომ გულშემატკივრებმა ისეთივე ატმოსფერო შექმნან ტრიბუნებზე, „ბარსელონასთან" მატჩის დროს რომ იყო, ისინი რომ არა, „ბარსელონას" დამარცხება ძალიან გაგვიჭირდებოდა.

სანამ უშუალოდ მატჩზე გადავალთ, ორიოდე სიტყვით შემადგენლობებზე მოგახსენებთ. ბოლო მატჩთან შედარებით, რომელშიც „ჩელსმ" პრემიერლიგის ტურში „საუთჰემპტონი" დაამარცხა, ლონდონელთა სასტარტო შემადგენლობაში ორი ცვლილება იყო: რობერტ ჰუთის ნაცვლად რიკარდუ კარვალიუ თამაშობდა, დისკვალიფიცირებული მატეა კეემანი კი დიდიე დროგბამ შეცვალა. „ბაიერნს" კი ორი მთავარი ფორვარდის, კლაუდიო პიზაროსა და როი მაკაის, აგრეთვე მცველნახევარმცველ მარტინ დემიკელისის გარეშე მოუხდა ბრძოლა.

თამაში, როგორც იტყვიან, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო და მეოთხე წუთზე პირველი გოლიც გავიდა — ჯონ ტერიმ თავისი ნახევრიდან მეტოქის საჯარიმოსთან ჩაგდო ბურთი, რომელსაც რობერტ კოვაჩი უხერხულად დაუხვდა და პირდაპირ დემიენ დაფს მიუგორა. ირლანდიელმა მაშინვე კოულს მისცა პასი, რომელმაც ღონივრად დაარტყა. გზად ბურთი ლუსიოს მოხვდა, მიმართულება იცვალა და იმ კუთხისკენ არ წავიდა, საითაც ოლივერ კანს ეგონა და ელოდებოდა.

სწრაფმა გოლმა ხალხს „ჩელსის" „ბარსელონასთან" დაუვიწყარი თამაში გაახსენა და ეს მატჩიც ეგებ იმავე სცენარით წარმართულიყო, პირველი გოლიდან ერთ წუთში კანს რომ არ ეყოჩაღა — მეკარემ ტერის დარტყმული ცხრიანიდან ჩამოხსნა.

მთლიანობაში კი ორივე გუნდმა გახსნილი, შემტევი ფეხბურთი ითამაშა და მათ უმაღლეს კლასსაც თუ გავითვალისწინებთ, იოლი მისახვედრია, დიდებული თამაში რომ იქნებოდა.

დროის გასვლასთან ერთად, თამაშის ტემპმაც იმატა და ორივე კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. მათ საოცარად ჩამოთვლას და აღწერას არ შეეუდგებით, მხოლოდ ერთ მათგანს გავიხსენებთ.

პაულუ ფერეირას ტრავმის გამო შემადგენლობაში მოხვედრილი გლენ ჯონსონი, თუ გახსოვთ, „ბარსელონასთან" მატჩის დროსაც ყველაზე სუსტი ჩელსელი იყო და ამ შეხვედრაშიც მთლად კარგად ვერ ირჯებოდა. აი, მაგალითად: ოუენ ჰარგრივსის დარტყმული ბურთი მან მკერდზე მიიღო, მაგრამ ვერ დაიმორჩილა, პირდაპირ ზე რობერტოს მიუგორა და თან ისე აკურატულად, რომ გასაოცარია, მიუნხენელმა გატანა როგორ ვერ შეძლო — კარისთვის ოდნავ რომ არ აეცილებინა, პეტრ ჩეხი იმ ბურთის ამღები ნაღდად არ იყო.

შესვენების მერე, პირველ წუთებში მეტი აქტიურობა ისევ „ჩელსის" ემჩნეოდა, მაგრამ გოლი „ბაიერნმა" გაიტანა: გერმანელებმა ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს. მიხაელ ბალაკმა ბურთი ცოცხალ კედელს გაარტყა, გაღმოგდებულს კი ზე რობერტომ დაამატა. პეტრ ჩეხი დროულად კი გადახტა, მაგრამ ბურთი მის წინ დავარდა, ასეთი დარტყმის ალება კი ნებისმიერი მეკარისთვის ძალიან ძნელია. ჩეხმა ბურთის მოგერიება მაინც მოახერხა, მაგრამ ბასტიან შვაინსტაიგერის დამატებულს კი რაფერი ძალუხერხა.

ამ გოლმა „ჩელსი" კიდევ უფრო დაგეშა და რვა წუთში ერთბურთიანი უპირატესობა ისევ აღადგინა. დიდიე დროგბამ თავით გადაუგდო ბურთი ფრენკ ლამპარდს, რომლის შორიდან დარტყმულიც კანისთვის აუღებელი გამოდგა.

კიდევ ათი წუთიც და, ანგარიში გერმანელებისთვის საგანგაშო გახდა. ახლა კლოდ მაკელელემ გაუკეთა უზუსტესი პასი მარჯანა ფლანგიდან ლამპარდს, ფრენკმაც პირველი შეხებით ბურთი მკერდით მიიღო და 180 გრადუსით შემოტრიალდა, მეორე შეხებით კი კარში ჩააგდო.

3:1-ზე თამაში, ცხადია, გაგრძელდა და მალე „ჩელსის" მეოთხე გოლიც გაიტანა. კუთხურიდან ნაწოდებულ ბურთს ეიდენ კუოლინსენმა ამოსცხო, მაგრამ კანი კი დაეჯარა, დროგბას დამატებული კი გაუშვა.

4:1 ის ანგარიშია, რომელიც ნაპასუხო შეხვედრას ინტიგას ეკარგავდა და თითქოს საგანგებოდ ინტრიგის დასაბრუნებლადაც, ბოლო წუთზე მსაჯმა რეხე ტემინკმა „ჩელსის" კარში ჰენლეიკი ითამაშა. ძნელი გასარჩევი იყო, მაინც რა წააქცია თუ არა რიკარდუ კარვალიუმ ხელი პაული გერერისა. ეს რამ მსაჯის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ჩვენს ძიბანს ახლა ხალიჩად არ წარმოადგენს. მთავარია, რომ ბალაკმა ჰენლეიკი ბოლოს შეასრულა და, როგორც უკვე გახსოვთ, საპასუხო მატჩს ახალი იგა შეუსარჩუნა.

მეტიც, არათუ ინტრიგა, ეს მანელებმა ნამატჩეს ისეთი კომბინაციები გააკეთეს, თითქოს თამაში მათ მოეგოთ. „ბაიერნის" ბანდიტულმა დიფენსივამ ული ჰოენესს თქვა: „საპასუხო მატჩში ასე ადვილად შეგვიტანეთ, რომ „ლიმბაზე" ფეხი ვერ ავიდეთ. ბრუნბუნები შეხვიდნენ ორი გოლის გატანა ვერ ვაკეთებდა. ეს მაინტრიგებს, რიგორ მოვარჯეხეთ, მთავარია გავიტანოთ. ბოლოს დარწმუნებული ვარ."

დიდიე დროგბას ოლივერ კანმაც ალბა მხარი, ბალაკის გატანიდან „ნალდმა ყველაფერი თავდაყალა ალენა და ხელის ჩაქნევის საბაბს ვერ ვხედავ.

ფელიქს მაგათმა კი, რიცა მსაჯობაზე ჰკითხეს, ჰენლეიკი იყო თუ არაო, უპასუხა: „მსაჯობით კმაყოფილი არ ვარ. ყველა ადგილი ინტიზიდში ჩვენ ვკარგავთ."

მაურინიუს თანაშემწემ ალენ მორ ბრიტომ კი ბოსის ინფორმაციაზე გაამახვილა ყურადღება და ისიც თქვა, დავალების მეორე კენტად გავართვით თავი.

ირაკლი ნინიძე

მაურინიუ ისევ სკანდალშია

იმ დღეს სად იყავი ჟოზე?

გასულ ოთხშაბათს „ჩელსის" მიერ „ბაიერნის" ძლევას შეიძლება, კვლავ სკანდალი მოჰყვეს.

მოგეხსენებათ, ლონდონელთა მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს გუნდთან ყოველგვარი კონტაქტი აკრძალული ჰქონდა, ინგლისური მედია კი აცხადებს, რომ მაურინიუ მაინც იძლეოდა დავალებებს. საიდან? როგორ? ნუთუ ის მართლა იყო „სტემფორდ ბრიჯზე"?

საქმე კი აი, რაშია — ტელევიზორში, თამაშის ცქერისას, რამდენჯერმე ნათლად გამოჩნდა „ჩელსის" ქუდჩამოფხატული ფიზმომზადების მწვრთნელი რუი ფარია. ჰოდა, ამ რუის ყურში სასმენი ჰქონდა შემალული და ჟოზეს დარიგებებს იქედან ისმენდაო, წერენ ბრიტანული გაზეთები.

ამის პასუხად კი უეფა აცხადებს, რომ კარგად დაუკვირდება რუი ფარიას ტელეკადრებს.

ფარია მართლაც უცნაურად იქცეოდა: სათადარიგოთა სკამზე ის მენეჯერის ასისტენტ ბალტიმორ ბრიტოსა და მწვრთნელ სტივ კლარკის უკან იჯდა და კარგი ამინდის მიუხედავად, ნაქსოვი ქუდი ჩამოეფხატა. ის გამუდმებით ეუბნებოდა რაღაცეებს ამ ორს. ერთხელ ფარიას მეორე მსაჯთანაც მოუხდა კამათი, როცა კლარკს და ბრიტოს მწვრთნელის ხაზთან გაჰყვა.

თამაშის დროს, მაურინიუ „ჩელსი ვილიჯზის" კომპლექსის ფიტნესკლუბში უყურებდა მატჩს. ეს შენობა „სტემფორდ ბრიჯის" დასავლეთ ტრიბუნის უკანაა და აქედან მინდვრამდე 50 იარდზე ნაკლებია, ირწმუნებიან გაზეთები. სწორედ ამ მანძილით ეკრძალებოდა ბატონ-დირთან მიახლოება მაურინიუს.

ირაკლი გამყრელიძე







„ჩელსი ვილიჯში" განმარტოებული ჟოზე მაურინიუ თანაშემწეებს დავალებებს, თურმე მაინც აძლევდა

40 წლის ახალგაზრდა დაცადეთ, ისიამოვნოს



ამადეო კარბონი

ესპანური პრიმერადივიზიონის ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი ამადეო კარბონი 6 აპრილს 40 წლისა გახდა. მიუხედავად ამისა, ვეტერანი იტალიელი კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს და ზუსტად ვერც ვარაუდობს, როდის მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას.

„ფეხბურთის თამაში მუდამ სიამოვნებას მანიჭებდა და დღესაც ასეა. ჩემს ასაკში მაღალ დონეზე თამაში ძალიან ძნელია, მაგრამ სურვილი და ენთუზიაზმი ისეთივე მაქვს, როგორიც 20 წლის წინ მქონდა. თანაც, ჩემი აზრით, მაინცდამაინც ცუდად არ გამომდის. ამიტომ კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ“ — განაცხადა იუბილარმა.

ამადეო კარბონმა თამაში მშობლიური ქალაქის კლუბში, პატარა „არეცოში“ დაიწყო. ამის შემდეგ იგი „ბარიში“ გადაბარგდა, რომლის რიგებშიც ზუსტად 20 წლის წინ იტალიის თასის ერთ-ერთ მატჩში მისი პროფესიული დებიუტი შედგა. შემდეგ იყო „ემპოლი“, „პარმა“ და „სამპდორია“.

პირველ სერიოზულ წარმატებას მან გენუელთა რიგებში მიაღწია. კარიერის საუკეთესო წლები კი „რომაში“ გაატარა, სადაც 6 სეზონი ბურთაობდა. 1997 წლიდან კი „ვალენსიაშია“, სადაც ნელ-ნელა „ღამურების“ ქომაგთა ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ფეხბურთელად იქცა.

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, „სკუადრა აძურას“ რიგებში მას 18-ჯერ უთამაშია.

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ იგი ამჟამადაც საკმაოდ კარგად გამოიყურება. მართალია, ვეტერანი მიმდინარე სეზონში მხოლოდ 18-ჯერ გავიდა მინდორზე, მაგრამ ესპანური კლუბის უფროსობას დღესაც მისი დიდი იმედი აქვს და გუნდის შეუცვლელ წევრად თვლის.

გიორგი ძაძაბაძე

ინგლისური „მიდლსბროს“ თავდამსხმელი მარკ ვიდუკა მიმდინარე სეზონში ველარ ითამაშებს. ავსტრალიელის ტრავმა უფრო სერიოზული გამოდგა, ვიდრე თავიდან ჩანდა. „ამას ნამდვილად არ ველოდით. იმედი გვქონდა, მარკი ფორმას მალე დაიბრუნებდა, მაგრამ ახლა გამოდის, რომ ამ სეზონში სულ ველარ დაგვეხმარება, რაც ძალიან სამწუხაროა“ — თქვა „ბოროს“ თავკაცმა სტივ მაკლარენმა.

ესპანური პრესა იუწყება, რომ დეივიდ ბექემმა მოსალოდნელზე ადრე მოიშუშა ტრავმა და „ბარსელონას“ წინააღმდეგ სათამაშოდ მზად არის. ახლა მადრიდელთა ყურადღება მთლიანად რაულისკენ არის მიპყრობილი. კლუბის ექიმები ყველაფერს აკეთებენ, რომ „რეალის“ კაპიტანი კვირამდე მწყობრში ჩააყენონ.

გერმანული „ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ ცოტა ხნის წინ მიღებული გადაწყვეტილება შეცვალა და ბრაზილიელი ზე რობერტოს შენარჩუნებას აპირებს. მიუნხენელებმა ფეხბურთელს ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. თავად ზე რობერტოს პოზიცია ჯერჯერობით უცნობია. გარდა ამისა, მიუნხენელები „ჩელსისთან“ მოლაპარაკებას აგრძელებენ და იმედი აქვთ, რომ ლონდონელებს ახალგაზრდა მცველის, რობერტ ჰუთის განათხოვრებაზე დაიყოლიებენ.

იტალიური „ლაციოს“ ნახევარმცველმა უსმან დაბომ კლუბში დარჩენის სურვილი გამოთქვა. „რომში თავს კარგად ვგრძნობ. თანაც აქ რეგულარული თამაში ჩემს ეროვნულ ნაკრებში ადგილის გარანტიას მაძლევს. ამიტომ იმედი მაქვს, რომ მალე ახალ კონტრაქტსაც გავაფორმებთ“ — თქვა 28 წლის ფრანგმა.

რუმინელმა მცველმა კრისტიან კივუმ, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადაწყვიტა „რომაში“ დარჩენა. მის აგენტ ანდრეა პრეტის თქმით, ახალგაზრდა მცველს ახალი შეთანხმების გაფორმება უნდა. პარალელურად დედაქალაქელებმა უკვე გაახანგრძლივეს კონტრაქტი არგენტინელ ლეგიონერ ლეანდრო კუფრესთან. კუფრე „სტადიო ოლიმპიკოზე“ 2009 წლამდე დარჩება.

ფრანგ მცველ ჯონათან ძებინას „ლივერპულთან“ მიღებული ტრავმა საკმაოდ მძიმე აღმოაჩნდა. ექიმებს ზუსტი დიაგნოზი ჯერ არ დაუსვამთ, მაგრამ ვარაუდობენ, რომ იგი სულ ცოტა, ერთი თვე დაისვენებს. თუმც საბოლოოდ ყველაფერი გაშუქების შემდეგ გაირკვევა.

იტალიურ „მილანს“ სურს, თავისი სათადარიგო მეკარე კრისტიან აბიატი „სამპდორიას“ კარის დარაჯ ფრანჩესკო ანტონიოლიში გაცვალოს. „როსონერის“ ხელმძღვანელობა უკვე წინადადებასაც აძზადებს, რომლის დეტალებიც ჯერჯერობით უცნობია. გენუელებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ესპანურმა „სარაგოსამ“ თავის ერთ-ერთ ლიდერთან, სავიო ბორტოლინისთან გაახანგრძლივა კონტრაქტი. ბრაზილიელი გუნდში კიდევ ორ სეზონს გაატარებს. „ძალიან გახარებული ვარ, რადგანაც დარჩენა მინდოდა და, როგორც გაირკვა, კლუბის უფროსობაც მენდობა“ — განაცხადა 31 წლის სავიომ.

იტალიური „რომა“ ახალი ნახევარმცველის ძიებაშია. დედაქალაქელებს ყველაზე მეტად „უდინეზეს“ ვარსკვლავ დეივიდ პიზაროს შეძენა სდომებიათ, მაგრამ ბევრი ეცილებათ. გარდა პიზაროსი, რომაელები რეჯინელ მოცარტსა და ბარსელონელ ხერარდს აკვირდებიან.

რუსული „დინამოს“ ნახევარმცველმა სერგეი იაშინმა „შინიკთან“ მატჩისას, რომელშიაც მან გამარჯვების გოლი გაიტანა, ცერა თითი მოიტეხა. მოსკოველთა ექიმების თქმით, იგი სულ მცირე, 2-3 კვირა ვერ ითამაშებს.

ესპანური „ბარსელონა“ იტალიური „ლეჩეს“ ახალგაზრდა ვარსკვლავ კრისტიან ლედესმათი დაინტერესდა, თუმცა კატალონიელებს სერიოზული მეტოქეები ჰყავთ. არგენტინელის შეძენა ძალიან სურს ტურინის „იუვენტუსს“. ლედესმას „მილანი“ და სხვა გრანდებიც უტრიალებენ. მიუხედავად ამისა, ფრანკ რაიკარდს დიდი იმედი აქვს, რომ არგენტინელს ხელში ჩაიგდებს.

უელსისა და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა იან რაში უმუშევარი დარჩა. მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინ მან სამწვრთნელო კარიერა დაიწყო და ამჟამად სათავეში ინგლისის მეორედივიზიონელ „ჩესტერს“ ედგა, მაგრამ არცთუ ისე დამაჯერებელი მუშაობის გამო 43 წლის სპეციალისტი პოსტიდან დაითხოვეს.

შოტლანდიური „სელტიკის“ ნახევარმცველი ნილ ლენონი და ინგლისური „ევერტონის“ მცველი ალან სტაბსი შესაძლოა მომავალ ზაფხულს „ბოლტონის“ რიგებში აღმოჩნდნენ. ორივე მათგანს თავიანთ კლუბებთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურებათ და თუ ახალი შეთანხმება არ გააფორმეს, თავისუფალი აგენტები გახდებიან. „ბოლტონის“ თავკაცმა სემ ალარდაისმა უკვე დაიწყო ფეხბურთელების აგენტებთან მოლაპარაკება.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდ ალან სმიტის გადაბირება „ასტონ ვილასა“ და „ნიუკასლს“ სურთ. შეგახსენებთ, რომ „ლიდსის“ ყოფილი თავდამსხმელი „წითელი ეშმაკების“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ამჟამად კი სმიტი დაშავებულია. თუმც ალანის აგენტმა კოლინ გიბსონმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, ჩემი კლიენტი არსად წასვლას არ აპირებსო.

ჩეხეთი

გაბარინუს ლიგა
გადადებული მატჩები
სიგმა 2:2 ლიბერეცი
0:1 ჰუბნიკი (5), 1:1 რანდა (54), 2:1 ბუდეცი (58), 2:2 პოშპისილი (78)
დრნოვიცე 2:0 ტეპლიცე
1:0, 2:0 ჰოლუბი (23, 60)

სპარტა	21	16	3	2	42:17	51
ტეპლიცე	21	9	9	3	20:16	36
სლავია	20	9	6	5	29:19	33
იაბლონეცი	21	8	8	5	21:17	32
სიგმა	21	9	5	7	24:22	32
ბანიკი	21	7	9	5	24:24	30
ლიბერეცი	21	8	8	5	31:18	26
ბოლესლავი	21	5	9	7	23:25	24
ზლინი	21	5	9	7	19:24	24
დრნოვიცე	21	6	5	10	23:26	23
პრეროგბრადი	21	5	6	10	20:33	21
ბლშანი	21	5	6	10	18:31	21
ბრნო	20	5	5	10	15:29	20
ოპავა	21	5	8	8	22:25	17
სლოვაკეკო	21	6	10	5	19:16	16
ბუდეიოვიცე	21	3	6	12	17:25	15

„ლიბერეცს“ და „ოპავას“ დაკლებული აქვთ 6-6 ქულა, „სლოვაკეკოს“ — 12 ქულა

ავსტრია

მაქსიმუნდესლიგა
გადადებული მატჩები
ბრეგენცი 0:2 რაპიდი
0:1, 0:2 ლავარე (33, 84)
ადმირა 0:2 პაშინგი
0:1, 0:2 მაირლები (47, 75)

პაშინგი	26	17	3	6	46:30	54
აუსტრია	25	14	7	4	46:16	49
რაპიდი	25	14	7	4	42:18	49
გრაცერი	26	13	5	8	35:23	44
მატერსბურგი	27	10	6	11	38:43	36
ტიროლი	27	8	9	10	38:38	33
ადმირა	26	8	5	13	29:43	29
შტურმი	27	7	6	14	24:38	27
ზალცბურგი	26	6	6	14	28:38	24
ბრეგენცი	27	4	6	17	24:63	18

შვეიცარია

სუპერლიგა
გადადებული მატჩები
შაფჰაუზენი 0:1 იანგ ბოისი
0:1 ჰებერლი (41)
აარაუ 2:3 ციურიხი
1:0 სეპარი (103), 2:0 ბაილი (16), 2:1 გიგაქსი (61), 2:2 მარგარიაცი (72), 2:3 ილიე (85)
გრასჰოპერი 4:0 სენტ გალენი
1:0 ედუარდო (52), 2:0 მუფი (55), 3:0 ედუარდო (71), 4:0 კაბანასი (76)

ბაზელი	24	13	6	5	51:34	45
თუნი	22	11	4	7	32:20	37
ციურიხი	24	10	6	8	38:38	36
გრასჰოპერი	25	9	9	7	30:35	36
იანგ ბოისი	23	9	7	7	41:33	34
ქსამაქსი	23	9	6	8	30:27	33
სენტ გალენი	24	6	9	9	33:41	27
აარაუ	23	6	6	11	33:38	24
შაფაუზენი	24	3	8	13	25:43	17
სერვეტი	18	6	5	7	24:28	23

„სერვეტი“ მოხსნილია ჩემპიონატიდან

დანია

სუპერლიგა. XXI ტური
სილკებორგი 3:0 ჰერფიოლგე
1:0 დეგნი (54), 2:0 კ. ოლსენი (76), 3:0 ნაგელი (81)

ბრონდბიუ	21	13	6	2	32:12	45
მიდტიულანდი	21	11	4	6	30:28	37
კოპენჰაგენი	21	10	6	5	39:28	36
ვიბორგი	21	9	7	5	26:21	34
ოდენსე	21	9	4	8	43:26	31
ოლბორგი	21	8	5	8	33:29	29
ორჰუსი	21	8	5	8	34:35	29
ესბიერგი	21	7	6	8	37:33	27
სილკებორგი	21	8	3	10	34:37	27
ნორდსელანდი	20	4	5	11	23:39	17
რანდერსი	20	4	5	11	21:38	17
ჰერფიოლგე	21	4	4	13	16:42	16

ინგლისი

ჩემპიონატი
XLI ტური
ძოვენთრი 2:0 ნოტინგემი
1:0 მაკშეფრი (243), 2:0 ადებოლა (41)

სანდერლენდი	41	26	6	9	68:35	84
იფსვიჩი	41	23	10	8	76:49	79
უიგანი	41	22	10	9	71:33	76
პრესტონი	41	19	11	11	59:51	68
რედინგი	41	17	13	11	46:36	64
დერბი	40	18	10	12	60:51	64
ვესტ ჰემი	40	18	8	14	56:50	62
შეფილდი	40	17	11	12	51:47	62
ქუინზ პარკი	40	16	9	15	49:50	57
მილუოლი	41	15	10	16	43:40	55
სტოკი	40	15	10	15	31:32	55
ლიდსი	41	13	15	13	45:47	54
ვულვზი	41	11	20	10	60:54	53
ბარნლი	40	13	13	14	33:36	52
ლესტერი	39	10	18	11	43:40	48
პლიმუთი	41	13	9	19	48:59	48
ქოვენთრი	41	12	11	18	51:63	47
კარდიფი	40	11	13	16	43:44	46
ქრიუ	41	11	13	17	59:73	46
უოტფორდი	41	10	15	16	48:55	45
ჯილინგემი	41	11	11	19	40:60	44
ბრაიტონი	41	12	8	21	34:60	44
ნოტინგემი	40	8	15	17	37:57	39
როტერჰემი	41	5	13	23	34:63	28

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩები
კარლსრუე 3:0 ობერჰაუზენი
1:0 სტოლი (10), 2:0 მასმანიდისი (19), 3:0 საენკო (61)
ერფურტი 2:0 უნტერჰახინგი
1:0 კუმანტარაკისი (37), 2:0 რიხტერი (55)
ფიურტი 1:1 ბურგჰაუზენი
0:1 გაისლერი (87), 1:1 ბურხარდტი (90)

კიოლნი	27	15	7	5	50:27	52
დუისბურგი	27	16	4	7	40:25	52
ფიურტი	27	14	5	8	40:31	47
მიუნხენი	27	12	9	6	38:32	45
ალემანია	27	13	4	10	51:33	43
აუე	27	13	4	10	42:29	43
აინტრახტი	27	13	4	10	46:38	43
ბურგჰაუზენი	27	11	7	9	36:41	40
ტრირი	27	8	11	8	33:39	35
დინამო	27	10	4	13	37:44	34
ზაარბრიუკენი	27	9	4	14	37:42	31
ალენი	27	8	7	12	29:34	31
კოტბუსი	27	8	7	12	27:34	31
კარლსრუე	27	7	9	11	35:41	30
უნტერჰახინგი	27	9	3	15	33:39	30
ესენი	27	6	12	9	32:41	30
ერფურტი	27	7	8	12	30:43	29
ობერჰაუზენი	27	7	5	15	31:54	26

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

Copa Toyota Libertadores '2005

ლიბერტადორესის თასი 2004

II ჯგუფი. IV ტური
სანტოსი (ბრაზილია) 3:1 LDU კიტო (ეკვადორი)

დანუბიო (ურუგვაი)	3	2	0	1	7:3	6
სანტოსი (ბრაზილია)	4	2	0	2	10:9	6
LDU კიტო (ეკვადორი)	4	2	0	2	4:7	6
ბოლივარი (ბოლივია)	3	1	0	2	4:6	3

VI ჯგუფი. IV ტური
ბანფილდი (არგენტინა) 0:3 ტიგრესი (მექსიკა)

ტიგრესი (მექსიკა)	4	2	2	0	8:3	8
ბანფილდი (არგენტინა)	4	1	2	1	6:8	6
კარაკასი (ვენესუელა)	4	1	1	2	5:6	4
ალიანსა (პერუ)	4	1	1	2	4:6	4

VIII ჯგუფი. IV ტური
ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 4:0 პაჩუკა (მექსიკა)

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	4	2	1	1	8:3	7
სპორტინგ კრისტალი (პერუ)	3	2	0	1	3:3	6
პაჩუკა (მექსიკა)	4	2	0	2	5:8	6
დეპორტივო კუენსა (ეკვადორი)	3	0	1	2	1:3	1

სარგებელი: კრიკეტ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ აქ ზე

ინგლისი. პრემიერლიგა

9 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	1	ბლეკბერნი-სოუთჰემპტონი	2.0	3.2	3.6	1.23	1.28	1.69
18:00	2	ბოლტონი-ფულჰემი	1.8	3.3	4.3	1.16	1.26	1.86
18:00	3	სუანსი-ბირმინგემი	1.25	5.5	9.5	1.01	1.1	3.48
18:00	4	სუანსი-ბირმინგემი 0:1	1.5	4.2	3.6			
18:00	5	სიფი-ლიუტონი	2.8	3.2	2.35	1.49	1.27	1.35
18:00	6	მიდლსბრო-არსენალი	4.5	3.4	1.75	1.93	1.25	1.15
18:00	7	ბირმინგემი-ნორიჩი	2.4	3.2	2.75	1.37	1.28	1.47
20:15	8	ნიუკასლი-ტოტენჰემი	7.5	3.7	1.45	2.47	1.21	1.04
20:15	9	ნიუკასლი-ტოტენჰემი 1:0	2.5	3.5	2.1			

10 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	10	ასტონ ვილა-ვესტ ბრომიჩი	1.75	3.3	4.5	1.14	1.25	1.9
18:00	11	ეფერტონი-კრიტერიონ ალბიონი	1.6	3.5	5.5	1.09	1.23	2.13
19:05	12	ტოტენჰემი-ნიუკასლი	2.1	3.2	3.35	1.26	1.29	1.63

ინგლისი. ჩემპიონატი

9 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:45	25	სანდერლენდი-რედინგი	1.6	3.4	4.9	1.08	1.2	2.0
18:00	26	უოტფორდი-ლიდსი	2.45	3.2	2.5	1.38	1.23	1.4
18:00	27	ვესტ ჰემი-ქოვენთრი	1.65	3.4	4.5	1.11	1.2	1.93
18:00	28	რიდინგი-ბრესტონი	3.8	3.4	1.8	1.79	1.22	1.17
18:00	29	ბრაიტონი-ლესტერი	2.4	3.3	2.5	1.38	1.22	1.42
18:00	30	ქარლაიფი-ეიფონი	3.0	3.3	2.1	1.57	1.23	1.28
18:00	31	დერბი-სტოკი	1.75	3.3	4.3	1.14	1.24	1.86
18:00	32	ვოლვერჰემპტონი-ბარნლი	2.0	3.3	3.2	1.24	1.23	1.62
18:00	33	მილოელი-ქარე	1.75	3.3	4.2	1.14	1.23	1.84
18:00	34	ნიუტონი-ჩელსიი	2.0	3.3	3.2	1.24	1.23	1.62
18:00	35	შეფილდი-ქრ	1.8	3.4	3.8	1.17	1.22	1.79

11 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	36	ვესტბრომიჩალბიონი-იფსვიჩი	2.6	3.1	2.5	1.41	1.27	1.38

ინგლისი. I ლიგა

8 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	40	ტრანმერი-სტოკპორტი	1.3	4.3	8.0	1.0	1.11	2.79

9 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	41	ბლეკპული-ბიუტბრი	1.65	3.4	4.5	1.11	1.2	1.93
